



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეოფანეს გამგრძელებლები

თეოფანეს გამგრძელებლები (Theophanes Continuatus), ბიზანტიური მათიანის პირობითი სახელი. შედგენილია 961-963, წარმოადგენს თეოფანე ჟამთააღმწერელის თხზულების გაგრძელებას, მოიცავს ბიზანტ. იმპერატორთა 813-961 ისტორიას. შედგენილია რამდენიმე მემათიანის მიერ. შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველოს შესახებ: ქართველთა მონაწილეობაზე თომა სლავის აჯანყებაში (821-823); უნიკალურ ცნობას ბიზანტიელთა მარცხიანი ლაშქრობის შესახებ დას. საქართველოში IX ს. 30-40-იან წლებში: „ისე, რომ ძალიან ცოტანილა დაბრუნდნენ იქიდან უკან. ჯარის ერთმა ნაწილმა ხომალდის დამსხვრევა განიცადა და სიცოცხლე შესწირა, სხვები კიდეც, თუმცა ხმელეთზე გადავიდნენ, მაგრამ პირველების უბედურება გაიზიარეს, აი, ასე დაიღუპა ეს ჯარი“. სხვა წყაროებში ამგვარი ცნობები არსად მოიპოვება და IX ს. დას. საქართველოს პოლიტ. ვითარების გასარკვევად თ. გ-ის ამ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საინტერესოა ცნობა იბერიის კურაპალატის (სავარაუდოდ, ადარნასე კურაპალატის) 922 ბიზანტიაში ყოფნის შესახებ.

წყარო და კუბლ.: Theophanes continuatus, rec. I. Becker, Bonnae, 1838; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4 ნაკვ. 2, თბ., 1952.

ნ. ლომოური
